ქართული სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის ტრანსფორმაცია ტრადიციულიდან ციფრულ მედიაში

(საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ონლაინპლატფორმის 1TVPLAY-ის მაგალითზე)

TRANSFORMATION OF GEORGIAN TELEVISION DOCUMENTARY FILMMAKING FROM TRADITIONAL BROADCASTING TO DIGITAL MEDIA

(Georgian Public Broadcaster's First Channel Online Platform, 1TVPLAY)

ლია ზამბახიძე
ასისტენტ-პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Lia Zambakhidze
Assistant Professor
Caucasian International University
Email: lia_zambakhidze@ciu.edu.ge
ORCID ID: 0000-0002-6872-4238

აბსტრაქტი

ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა აუდიოვიზუალური კონტენტის შექმნის, გავრცელებისა და გამოყენების პრაქტიკა. მედიასისტემების განვითარების შეუქცევადმა პროცესმა არსებითი გავლენა იქონია სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის ტრანსფორმაციაზეც. ტრადიციული ხაზოვანი მაუწყებლობიდან ციფრულ პლატფორმებზე (BVOD - Broadcast Video on Demand) გადასვლამ გარდაქმნა როგორც დოკუმენტური კონტენტის გავრცელების მოდელი, ისე მაყურებლის ქცევა. მოცემულმა რეალობამ სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა ახალი ფუნქციური და კომუნიკაციური ამოცანების წინაშე დააყენა.

პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით, ეროვნული ღირებულებების მატარებელი კონტენტის შექმნა და მისი გრძელვადიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პირდაპირი მოვალეობაა. სოციუმში ცოდნის გავრცელების, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და საგანმანათლებლო კონტენტის წარმოების პროცესში დოკუმენტალისტიკას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. თავის მხრივ, აღნიშნული მისიის შესრულების თანამედროვე ინსტრუმენტად კი ონლაინ პლატფორმა - 1TVPLAY - მიიჩნევა.

წარმოდგენილი კვლევის მიზანი ქართული სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის თავისებურებების ანალიზია. ნაშრომში 2025-2026 წლების დოკუმენტური კონტენტი თემატური მიმართულებების, ნარატიული სტრუქტურის, აუდიოვიზუალური მახასიათებლებისა და ციფრულ გარემოში მათი ადაპტაციის ფორმის მიხედვითაა განხილული.

კვლევის თეორიულ საფუძველს ტექნოლოგიური დეტერმინიზმის, მედიადეტერმინიზმის, აკუმულირების, გამოყენებისა და გრატიფიკაციის (Uses and Gratifications) კონცეფციები ქმნის. მოცემული თეორიული ჩარჩო წარმოაჩენს თანამედროვე აუდიოვიზუალური ხერხებისა და ციფრული პლატფორმების გავლენას სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის წარმოების, გავრცელებისა და მიღების პრაქტიკაზე.
კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ თანამედროვე ქართული დოკუმენტური მასალები, უმეტესად, ისტორიული და ბიოგრაფიული თემატიკისაა. წარმოდგენილი კონტენტი ინარჩუნებს ჟანრის ძირითად პრინციპებს - ფაქტობრივ სანდოობას, ინფორმირებისა და შემეცნებითი ფუნქციის ინტეგრაციას. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევებში ვლინდება ინოვაციური აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის საშუალებით გენერირებული გამოსახულებების გამოყენების ტენდენცია. თავის მხრივ, 1TVPLAY, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ციფრული სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტი, უზრუნველყოფს სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის მუდმივ ხელმისაწვდომობასა და მასობრივ გავრცელებას.
1TVPLAY-ზე განთავსებული კონტენტის ნარატიული და აუდიოვიზუალური მახასიათებლების ანალიზი, მათი გადააზრება საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიისა და თანამედროვე მედიათეორიების კონტექსტში დოკუმენტალისტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: ტელედოკუმენტალისტიკა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, 1TVPLAY.GE, ციფრული მედია.

Abstract

Technological progress has significantly transformed the practices of audiovisual content production, distribution, and consumption. The irreversible process of media system development has also had a substantial impact on the transformation of television documentary filmmaking. The transition from traditional linear broadcasting to digital platforms (BVOD – Broadcast Video on Demand) has reshaped both the distribution model of documentary content and audience behavior. This new reality has presented television documentary filmmaking with new functional and communicative challenges.
In accordance with its programming priorities, the creation of content reflecting national values and ensuring its long-term accessibility constitute the direct responsibility of the Georgian Public Broadcaster's First Channel. Documentary filmmaking holds strategic importance in the dissemination of knowledge, the preservation of cultural heritage, and the production of educational content. In this context, the online platform 1TVPLAY is regarded as a contemporary instrument for fulfilling this public service mission.
The aim of the present study is to analyze the characteristics of the technological transformation of Georgian television documentary filmmaking. The paper examines documentary content produced during the period of 2025–2026, analyzing it according to thematic orientation, narrative structure, audiovisual characteristics, and forms of adaptation to the digital environment.

The theoretical framework of the study is based on the concepts of technological determinism, media determinism, accumulation Theory, and Uses and Gratifications Theory. This theoretical framework demonstrates the influence of contemporary audiovisual techniques and digital platforms on the production, distribution, and reception of television documentary content.
The findings of the study indicate that contemporary Georgian documentary productions are predominantly devoted to historical and biographical subjects. The analyzed content preserves the fundamental principles of the documentary genre, including factual reliability and the integration of informative and educational functions. At the same time, specific cases reveal a growing tendency toward the use of innovative audiovisual technologies, including images generated through artificial intelligence. Furthermore, 1TVPLAY, as a significant component of the Georgian Public Broadcaster's digital strategy, ensures the continuous accessibility and wide dissemination of television documentary content.
The analysis of the narrative and audiovisual characteristics of the content available on 1TVPLAY, interpreted within the context of the Georgian Public Broadcaster's public service mission and contemporary media theories, provides an opportunity to evaluate current trends in the development of documentary filmmaking.

Keywords: television documentary filmmaking, Public Broadcaster, 1TVPLAY, digital media.

შესავალი

ციფრული ტექნოლოგიების, ონლაინპლატფორმებისა და სტრიმინგ სერვისების განვითარებამ, ტრადიციული სამაუწყებლო მოდელის პარალელურად, შექმნა აუდიტორიასთან კომუნიკაციის ახალი შესაძლებლობები. მოცემული ცვლილებები აისახა დოკუმენტალისტიკაზეც, რომლის განვითარების ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ტექნოლოგიური პროგრესის გარდამტეხ ეტაპებს. მუდმივი პროგრესირების მასშტაბი და ხარისხი ნათლად იკვეთება კინოეკრანებთან, სამაუწყებლო მედიასთან თუ ციფრული ტექნოლოგიებთან ადაპტირების პროცესში.

ტელევიზიისგან განსხვავებით, რომელიც ინფორმაციის მიღების დროსთან და თანმიმდევრობასთან მიმართებით თავის წესებს ადგენს, ციფრული მედია მომხმარებელს სრულ თავისუფლებას სთავაზობს. თანამედროვე აუდიტორიის შეცვლილი ქცევა კი თავის მხრივ, გავლენას ახდენს მედიაგარემოზე, კონტენტის ფორმებსა და გავრცელების პრინციპებზე.

საკომუნიკაციო ქსელში მედიასაშუალებასა და რეციპიენტს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულების რეზულტატია BVOD (Broadcaster Video on Demand) პლატფორმები. სერვისი, რომლის საშუალებითაც ტრადიციული ტელემაუწყებლები საკუთარ ბაზაზე შექმნილ ან ლიცენზირებულ, მაღალხარისხიან კონტენტს სთავაზობენ მომხმარებელს. საქართველოში პირველი ასეთი პლატფორმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ციფრული სივრცეა - 1TVPLAY.GE.

როგორც ორგანიზაციის სტრატეგიულ დოკუმენტშია განმარტებული ორგანიზაცია „ციფრული მედიის ეპოქაში არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის ერთ-ერთი ახალგაზრდა აუდიტორიის შენარჩუნებაა მათთვის შესაბამისი პლატფორმების და ღირებულებებზე დაფუძნებული და არა მხოლოდ ალგორითმით ნაკარნახები შინაარსის შექმნით“ (მაუწყებელი, 1tv.ge, 2026).

მოცემულ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დოკუმენტალისტიკა, როგორც შემეცნებისა და ინფორმირების კომპლექსური რესურსი. მნიშვნელოვან მოვლენათა სიღრმისეული რეპრეზენტაცია საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის, როგორც განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე მედიასაშუალებისათვის, ერთ-ერთი პრიორიტეტია.

მედიაორგანიზაცია „ხელს უწყობს განათლების პოპულარიზაციას. შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებით ავითარებს სტერეოტიპებისა და ცრურწმენების წინააღმდეგ აზროვნებას და ხელს უწყობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას“ (მაუწყებელი, 1tv.ge, 2026).

დოკუმენტალისტიკა, საჯარო ფასეულობების დამკვიდრების პროცესში, წამყვან მედიარესურსად რჩება 2022-2025 წლების პროგრამულ პრიორიტეტებშიც.

სწორედ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით განისაზღვრა კვლევის ობიექტად საქართველოს პირველი არხის სტრიმინგ პლატფორმა, ხოლო საგნად - მასზე განთავსებული დოკუმენტური კონტენტი.

საკითხის აქტუალურობას ადასტურებს თავად მაუწყებლის დაკვეთით, 2020 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც ქართველ „ტელემაყურებელთა 69,9%-სთვის ძირითადი საინფორმაციო წყარო ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინტერნეტია“ (მაუწყებელი, VOD (Video on demand) პლატფორმის შესახებ კვლევა, 2026, გვ. 9).

სწორედ მოცემული მაჩვენებლები და საზოგადოების მოთხოვნა განსაზღვრავს მაუწყებლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას - „საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, საზოგადოებრივი პოლიტიკური პროდუქცია“ ახალი, ციფრული სერვისების გამოყენებით შესთავაზოს აუდიტორიას (მაუწყებელი, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2022-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტები, 2026, გვ. 4). წარმოდგენილი ნაშრომის მიზანიც, სწორედ ამ ტრანსფორმაციის კვლევაა, რაც შემდეგი ამოცანების გადაჭრას მოიაზრებს:

- 1TVPLAY.GE-ზე დოკუმენტური ვიდეომასალების რეპრეზენტაციისა და ხელმისაწვდომობის ანალიზი;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სტრიმინგ პლატფორმაზე 2025-2026 წლებში ატვირთული კონტენტის ნარატიული სტრუქტურებისა და აუდიოვიზუალური მახასიათებლების შესაბამისობის შეფასება თანამედროვე გამოწვევებთან.

ციფრული გარემოს პროგრესირების, აუდიტორიის მოთხოვნებისა და მედიასივრცის მუდმივი ტრანსფორმაციის პირობებში, ნაკლებადაა შესწავლილი ქართული დოკუმენტალისტიკის ადაპტაციის პროცესი თანამედროვე ტექნოლოგიებთან. საკითხი კომპლექსურია და მოიცავს, როგორც მასალის გავრცელების ტექნიკური რესურსების შეფასებას, ისე უშუალოდ კონტენტის კვლევას. ამდენად, ნაშრომი ხელს შეუწყობს ადგილობრივი დოკუმენტალისტიკის ციფრული ტრანსფორმაციის გააზრებას, მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირებას, თანამედროვე მედიაგარემოში ჟანრის უპირატესობებისა და განვითარების თავისებურებების წარმოჩენას.

ლიტერატურის მიმოხილვა

XXI საუკუნის დოკუმენტალისტიკა მნიშვნელოვნად გასცდა ტრადიციულ კინემატოგრაფიულ ფორმებს და მოიცვა გამოსახვის ისეთი თანამედროვე საშუალებები, როგორიცაა გრაფიკა, ხელოვნური ინტელექტი. შეიცვალა გადაღებისა და მონტაჟის სპეციფიკა, რამაც გავლენა იქონია თავად გამოსახულებაზე, ხმაზე, ნარატივის აუდიტორიისათვის მიწოდების გზებსა და ხერხებზე. ჯიჰუნ კიმის კვლევა „Documentary's Expanded Fields: New Media and the Twenty-First-Century Documentary" ამ ტრანსფორმაციას სწორედ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კონტექსტში განიხილავს და ასახელებს ისეთ ტექნიკებს, როგორიცაა ვირტუალური (VR) და გაფართოებული (AR) რეალობები, გამოსახულების ციფრული მანიპულაციები (digital image manipulation), მონაცემთა ვიზუალიზაცია (Data visualization).

ახალი ტექნოლოგიების განვითარება თანდათან ცვლის დოკუმენტური კონტენტის ფორმას, ვიზუალურ ენას, ქრონომეტრაჟს, გავრცელების არხებსა და აუდიტორიის ჩართულობის ხარისხს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ინტერაქციული დოკუმენტალისტიკის" ცნება (Kim, 2022, გვ. 596). ციფრულ გარემოში მაყურებელი აღარ წარმოადგენს მხოლოდ დასრულებული დოკუმენტური პროდუქტის პასიურ მიმღებს. იგი თავად მონაწილეობს ინფორმაციის სტრუქტურირების პროცესში. შესაბამისად, თანამედროვე ციფრული დოკუმენტალისტიკა აღარ განიხილება, როგორც კინემატოგრაფიული ფორმის განახლებული ვერსია. ის თანამედროვე მედიაფორმაა, რომელიც ციფრულ პლატფორმებთან ადაპტირებით გარდაქმნის დოკუმენტური თხრობის პრინციპებს.

ტექნოლოგებზე დაფუძნებულ ექსპერიმენტულ დოკუმენტალისტიკაზე ამახვილებენ ყურადღებას დანიელ მარკუსი და სელმინ კარა ნაშრომში „Contemporary Documentary". სმარტფონების, GPS-ტექნოლოგიების, მოქნილი კომპიუტერული ტექნიკისა თუ სენსორული აპარატურის გამოყენებით შექმნილი აუდიოვიზუალური მასალები მაყურებელს რეალობის აღქმის განსხვავებულ პერსპექტივებს სთავაზობს. ავტორები ნაშრომში განიხილავენ ისეთ ახალ ფორმებს, როგორიცაა Sensory ethnographic films, Drone documentary, 3D და IMAX documentary, live cinema documentary, Installation Documentary და სხვ. (Marcus & Kara, 2015, გვ. 5).

თანამედროვე დოკუმენტალისტიკაში ტექნოლოგია არ არის მხოლოდ ტექნიკური საშუალება, ის მონაწილეობს დოკუმენტური ნარატივის ფორმირებაში, სივრცის ორგანიზებაში, ინფორმაციის სტრუქტურირებასა და მაყურებელთან კომუნიკაციის ახალი ფორმების ჩამოყალიბებაში.

ტექნოლოგიური და ნარატიული ცვლილებების ერთობლივი პროცესად განიხილავს თანამედროვე ციფრულ მედიასივრცეში დოკუმენტალისტიკის ტრანსფორმაციას ოზლემ არდა ნაშრომში „An Assessment of the New Media Documentary". მისი განმარტებით რამდენიმე ნაწილიანი, თანამედროვე დოკუმენტური პროექტი ხშირად მაყურებელს შესაძლებლობას აძლევს, თავად აირჩიოს, რა თანმიმდევრობით გაეცნოს მასალას. ამ შემთხვევაში ციფრული ტექნოლოგია მხოლოდ დოკუმენტური მასალის გავრცელების საშუალება აღარ არის. ის განსაზღვრავს კონტენტის სტრუქტურას, ქრონომეტრაჟის და აუდიტორიის ჩართულობის ფორმას (Arda, 2020, გვ. 2951).

თანამედროვე დოკუმენტალისტიკის ჟურნალისტიკასთან მიმართებას წარმოაჩენს ჯეინ ჩეპმენი წიგნში „Issues in Contemporary Documentary". დოკუმენტური ფილმი იქცა

არა მხოლოდ რეალობის ფიქსაციის, არამედ საზოგადოებრივი პრობლემების გამოვლენისა და მათი კრიტიკული გააზრების საშუალებად. დოკუმენტალისტიკის ტელევიზიაში ტრანსფორმაციამ შეცვალა არა მხოლოდ მისი გავრცელების მასშტაბი, არამედ ფორმაც. ეპიზოდურობამ და პერიოდულად განმეორებადმა ფორმატმა დოკუმენტურ მასალა საეთერო ბადის სტრუქტურას შეუსაბამა და ტელევიზიის ყოველდღიურ მაუწყებლობას დაუკავშირა.

ტელეეთერიდან მასალების ინტერნეტპლატფორმებზე გავრცელებამ დოკუმენტური კონტენტის ფუნქცია და საზღვრები კიდევ უფრო გააფართოვა. ხშირად ვებგვერდი არა მხოლოდ მასალის გავრცელების, არამედ აუდიტორიისათვის კომფორტის შექმნისა და ჩართულობის გაზრდის მექანიზმია (Chapman, 2009, გვ. 20). ტექნოლოგიურმა განვითარებამ დოკუმენტალისტიკა ჯერ ჟურნალისტურ პრაქტიკასთან დააახლოვა, ხოლო ტელევიზიის ციფრულ სივრცეში ადაპტაციამ კიდევ უფრო ფართო აუდიტორიამდე მიიტანა.

ე.წ. სტრიმინგ პლატფორმების განვითარება და მოთხოვნის შესაბამისად (on-demand) კონტენტის გავრცელება მაყურებელს არჩევანის მეტ თავისუფლებას აძლევს და სატელევიზიო ბადისგან განსხვავებით, აუდიტორიას კონტენტის სურვილისამებრ მიღების შესაძლებლობას უტოვებს. მოცემულ თეზის ადასტურებს დენიელ ბინის სტატია „The Netflix documentary house style: Streaming TV and slow media“. ავტორი საუბრობს კონკრეტული მედიაპლატფორმისთვის დამახასიათებელ „საფირმო სტილზე“. აღნიშნული მოიაზრებს შედარებით ნელ ტემპს ქაოსის წინააღმდეგ, მაღალი ხარისხის გამოსახულებას (4K), ხმას და ესთეტიკურ განათებას, დეტალებზე ორიენტაციასა და საინფორმაციო ფორმულირებებს. „ხარისხისა და წარმოების მაღალი სტანდარტებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, Netflix-ის დოკუმენტურ კონტენტს მნიშვნელოვნად აახლოებს ე.წ. „ნელი მედიის“ მოძრაობის (Slow Media) იდეებთან“ (Binns, 2018). ეს უკანასკნელი მოიაზრებს ციფრულ ეპოქაში არსებულ „ინფორმაციულ აფეთქებაზე“ პასუხს. სწრაფი და ზედაპირული მასალებისგან განსხვავებით, „ნელი მედიის“ მანიფესტი განსაზღვრავს კონტენტის შექმნის პრინციპებს, რომელიც ეფუძნება მდგრადობას, გააზრებას, ნდობას, დიალოგს, კონტექსტზე ორიენტირებას, პროგრესულობას.

სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის ტრანსფორმაციის თეორიული ასპექტები

თანამედროვე მედიაგარემოში მასობრივი კომუნიკაცია აღარ წარმოადგენს სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლის მარტივ მექანიზმს. შესაბამისად, პროცესი გარდა სპიკერის, მსმენელისა და თავად შეტყობინებისა, მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა გავრცელების არხი, ეფექტი და უკუკავშირი თავად რეციპიენტისგან.

მასკომუნიკაციის კლასიკური მოდელების (არისტოტელეს საკომუნიკაციო ქსელი, ჰეროლდ დუაიტ ლასუელის პენტადა) ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ტექნოლოგიური პროგრესია, რომელმაც შეცვალა როგორც მედიასაშუალება, ისე თავად მედიუმი და აუდიტორიის ქცევა.

კლასიკური გაგებით, ტექნოლოგიური დეტერმინიზმი განიხილავს კონკრეტულ ეპოქაში შექმნილ ინოვაციურ გამოგონებებს, ერთი მხრივ როგორც საზოგადოების განმავითარებელ ფაქტორს, ხოლო მეორე მხრივ - შემდგომი პროგრესის საფუძველს.

სწორედ ასეთი პროგრესის შედეგია თავად დოკუმენტალისტიკა - პირველ ეტაპზე კონკრეტული მოვლენის ამსახველი რამდენიმეწამიანი მოძრავი გამოსახულება, შემდგომ კი - რეალობის შემოქმედებითი ინტერპრეტაცია.

კანადელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი და მედიაკრიტიკოსი მარშალ მაკლუენის მოსაზრებით „ნებისმიერი მედიუმისა და ტექნოლოგიის „გზავნილი“ არის მასშტაბის, ტემპის ან სტრუქტურის ცვლილება, რომელიც მას ადამიანურ საქმიანობაში შეაქვს“ (McLuhan, 1964, გვ. 11). შესაბამისად, ტექნიკური განახლება ცვლის არა მხოლოდ კონკრეტული ამოცანის შესრულების შესაძლებლობას, არამედ თავად გარემოებებს, რომელშიც მოქმედება ხორციელდება. კამერის, ხმის ჩამწერი აპარატურის, განათების, მონტაჟის, კომპიუტერული გრაფიკებისა და ახლა უკვე ხელოვნური ინტელექტის გამოგონებამ ეტაპობრივად გააუმჯობესა არა მხოლოდ დოკუმენტური კონტენტის შექმნის პროცესი, არამედ შეცვალა მისი გავრცელების მასშტაბი და ტემპი.

საკითხის მედიადეტერმინიზმის კონტექსტში გაანალიზების შემთხვევაში, კიდევ უფრო ნათელი ხდება, რომ კინემატოგრაფიული მედიუმიდან, ჯერ სატელევიზიო, ხოლო შემდგომ ციფრული მედიაგარემოს შესაბამისი კონტენტის ჩამოყალიბების პროცესში, ტრანსფორმირდა არა მხოლოდ დოკუმენტალისტიკის წარმოების ტექნიკური საშუალებები, არამედ ნარატიული სტრუქტურა, ფორმატი და აუდიტორიასთან კომუნიკაციის ფორმა.

პირველ ეტაპზე დოკუმენტური ფილმის სპეციფიკა სავსებით შეესაბამებოდა კინოეკრანისათვის დამახასიათებელ თრობას, ჩვენებისათვის გამოყოფილ კონკრეტულ სივრცესა და წინასწარ განსაზღვრულ ქრონომეტრაჟს. ტელევიზიაში კონტენტი მოერგო საეთერო ბადესა და პროგრამულ სტრუქტურას. ციკლურობა დოკუმენტური მასალის არა მხოლოდ გავრცელების, არამედ შინაარსობრივი ორგანიზების პრინციპადაც იქცა. ციფრულმა გარემომ დროისა და ინტერაქციის ფაქტორი კიდევ ერთხელ შეცვალა. მასალები ახლა მოთხოვნის შესაბამისადაა (on-demand) განთავსებული ონლაინპლატფორმებზე. რა თქმა უნდა, მსგავსი მედიატექნოლოგიური პროგრესი ქმნის გარემოს, რომელშიც ავტომატურად აისახება კონტენტის მიღების სპეციფიკაზეც.

„ტექნოლოგიის გავლენა არ ვლინდება მხოლოდ შეხედულებებისა და კონცეფციების დონეზე. იგი თანდათანობით და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ცვლის შეგრძნებებს შორის ურთიერთმიმართებებსა და აღქმის ფორმებს“ (McLuhan, 1964, გვ. 21).

თანამედროვე საზოგადოება თავად წყვეტს, რისთვის და როდის მიიღოს სასურველი ინფორმაცია. გამოყენებისა და გრატიფიკაციის თეორია მედიის საჭიროების რამდენიმე ძირითად კატეგორიას აერთიანებს: აფექტური, კოგნიტიური, დაძაბულობისგან გათავისუფლების, პერსონალური და სოციალური ინტეგრაციის. „მასობრივი კომუნიკაციის პროცესში მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და მედიასაშუალების არჩევას შორის კავშირის დამყარებისას მნიშვნელოვანი ინიციატივა თავად აუდიტორიის წევრს ეკუთვნის“ (Katz, Blumler, & Gurevitch, 1973).

ჩამოთვლილი კატეგორიებიდან დოკუმენტალისტიკა შესაძლებელია, განვიხილოთ როგორც კოგნიტური, ისე განტვირთვის საჭიროების შესაბამისი კონტენტი. ნარატიული, სემიოტიკური, აუდიოვიზუალური და ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, ის შემეცნების, სიახლის მიღებისა და ისტორიის გაანალიზების შეუცვლელი მედიარესურსია, უახლეს ციფრულ პლატფორმებზეც.

თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს რომ, გასართობი ინდუსტრია, მათ შორის მედია, „მიზანმიმართულად იყენებს ადამიანის საჭიროებას ურთიერთობის,

თანამოაზრის/კომპანიონის ყოლის შესახებ და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილს თანამედროვე საზოგადოებაში“ (Rosengren, 1974, გვ. 279). შესაბამისად, ზოგჯერ თავად მედია მონაწილეობს იმ მოლოდინების ფორმირებაში, რომელიც აუდიტორიას გააჩნია, რაც შემდგომ, კონკრეტული კონტენტის შერჩევის წინაპირობა ხდება.

მოცემული თეზისის დასტურია თანმიმდევრულად, გარკვეული პერიოდულობით გავრცელებული ინფორმაცია. მედიაკონტენტის ციკლური ხასიათი და ფრაგმენტულად მიწოდებული გზავნილები, გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევენ საზოგადოების ქცევასა და შეხედულებების ფორმირებაში.

თანამედროვე დოკუმენტალისტიკის ციფრული ტრანსფორმაცია სწორედ მოცემული თეზისისა და აკუმულირების მედიათეორიის დადასტურებაა. ერთი მხრივ, თავად ონლაინპლატფორმა ეტაპობრივად, მუდმივი განახლებებით ცვლის აუდიტორიის ქცევას და კონტენტის მიღების გზებს. მეორე მხრივ, თავად ტექნოლოგიურ გამოწვევებთან ადაპტირებული მედიარესურსი იძენს ისეთ საჭირო ტექნიკურ თუ ნარატიულ მახასიათებლებს, როგორიცაა ციკლურობა, მოქნილი ქრონომეტრაჟი და გამოსახვის საშუალებები (გრაფიკები, ხელოვნური ინტელექტი და ა.შ.).

სერიების, ფრაგმენტების, მოკლე ვიდეორგოლების სახით შეთავაზებული ვრცელი დოკუმენტური მასალა რამდენიმე ძირითად მედიაპრინციპს ეხმიანება: გრძელვადიან პერსპექტივაში აუდიტორიაზე ზემოქმედება, საზოგადოების ქცევისა და შეხედულებების ეტაპობრივი ცვლილება, სხვადასხვა პლატფორმაზე განთავსებული კონტენტით გზავნილის მთავარი იდეის გამყარება.

პროცესში მნიშვნელოვანია ინტენსივობა და ეპიზოდებს შორის მიმართება. განმეორებადი ვიზუალური ენა, ნარატიული ტონი და თხრობის სტილი ქმნის თანმიმდევრულ მედიაგზავნილს. შედეგად, მაყურებლისათვის ყოველი ახალი ეპიზოდი უკვე მიღებული ცოდნის გაღრმავება და ინფორმაციის ინტერპრეტაციის პროცესის გაგრძელებაა.

კვლევის მეთოდები

საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრიმინგ პლატფორმაზე (1TVPLAY) დოკუმენტური ფილმებისა და სერიალების განთავსების, სტრუქტურირებისა და ციფრული ადაპტაციის ხარისხის კომპლექსური ანალიზისათვის ჩატარდა ვებგვერდის ჰეურისტიკული შეფასება (Heuristic Evaluation). კვლევა ეყრდნობა იაკობ ნილსენის მიერ შემუშავებულ ჩარჩოს. ავტორი ნაშრომში „Usability Engineering“ (1993) განსაზღვრავს ონლაინპლატფორმის დიზაინისა და ეფექტური მუშაობის ზოგად სქემას. აღნიშნული მოიაზრებს ინტერფეისის შეფასებას „გამოყენების პრინციპების (ჰეურისტიკების) საფუძველზე“ (Nielsen, 1993, გვ. 155).

იაკობ ნილსენის 10 საბაზისო ჰეურისტიკა აანალიზებს სისტემის მდგომარეობის ხილვადობას, ინტერფეისისა და რეალური სამყაროს შესაბამისობას, მომხმარებლის კონტროლსა და თავისუფლებას, თანმიმდევრულობას, შეცდომების პრევენციასა და გამოსწორებას, ინფორმაციის აღქმის სიმარტივეს, მოქნილობას, მინიმალისტურ დიზაინსა და მომხმარებლისთვის საჭირო დახმარების ხელმისაწვდომობას.

მოცემულ კვლევაში ჰეურისტიკული ანალიზი ეხება არა ზოგადად სტრიმინგ პლატფორმის ფუნქციონირებას, არამედ 1TVPLAY-ზე დოკუმენტური

ფილმების/სერიალების განთავსებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მოცემული ამოცანის გადასაჭრელად, იაკობ ნილსენის პრინციპების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი საკვლევი კრიტერიუმები:

ინტერფეისი - ვიზუალური სიმსუბუქე და ერთგვაროვნება (საერთო დიზაინი, მინიმალიზმი, ერთგვაროვანი ღილაკები)

სტრუქტურა - აღქმის სიმარტივე და ფოკუსი (სასურველ გვერდზე გადასვლა/გამოსვლა, მთავარ მენიუში დაბრუნება)

ნავიგაცია - მოქმედების თავისუფლება და მოქნილობა (კონტენტის გამოყოფა ჟანრების ან ფორმის მიხედვით);

ფუნქციონალი - მუშაობის ეფექტურობა, შეცდომებისგან დაზღვევა (ეფექტური საძიებო სისტემა და კორექტირება)

კონტენტის მართვა (Playback Control) - ინფორმაციულობა, სტატუსი და სრული კონტროლი (მაგ. ვიდეოს ჩატვირთვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, გადახვევა, დაპაუზება, გამორთვა და ა.შ.).

მუდმივად პროგრესირებადმა მედიაგარემომ მნიშვნელოვნად შეცვალა დოკუმენტალისტიკის ფორმები, აუდიოვიზუალური ენა და მოდელები. საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრიმინგ პლატფორმაზე 2025-2026 წლებში ატვირთული დოკუმენტური ფილმებისა და სერიალების **კონტენანალიზი** წარმოაჩენს, როგორ აისახება თანამედროვე ტენდენციები თხრობის სტრუქტურაში. აღნიშნულ დროით ჩარჩოში გამოქვეყნებული მასალები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზდა: თემატიკა (ბიოგრაფიული, სოციალური ისტორიული და სხვ.); ფორმატი (ქრონომეტრაჟი, სერიების რაოდენობა) და აუდიოვიზუალური მახასიათებლები, რაც რეკონსტრუქციებს, გრაფიკულ ჩანართებს, მუსიკას, ხმაურს და სხვა გამომსახველობით საშუალებებს აერთიანებს.

დოკუმენტური ვიდეოკონტენტში სიუჟეტის განვითარებასა და მასალებში ასახული მოვლენების რეპრეზენტაციის გზებს **ნარატიული ანალიზის** მეთოდი წარმოაჩენს. კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა რამდენიმე ძირითად კომპონენტზე: მთხრობლის ტიპი და ფუნქცია (ავტორი/ექსპერტი თუ პერსონაჟი); სიუჟეტური ფოკუსი (მოვლენა, კონკრეტული პერსონაჟი, პრობლემა ან საკითხი); ნარატივის მიზანი (ინფორმირება, შემეცნება, ემოციური ზემოქმედება); სიუჟეტის ორგანიზების პრინციპი (ქრონოლოგიური ან არაქრონოლოგიური); თხრობის ტონი (ნეიტრალური, ემოციური ან შერეული).

მოცემულ ასპექტებზე ავტორისეული გადაწყვეტილებები განსაზღვრავს დოკუმენტური ფილმისა თუ სერიალის ფორმას, მაყურებლის მხრიდან მოვლენის აღქმისა და ინტერპრეტაციის ხარისხს.

თვისებრივი კვლევის ამ კონკრეტული მეთოდების გამოყენებით გაანალიზდა 2025-2026 წლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სტრიმინგ პლატფორმაზე - 1TVPLAY.GE - განთავსებული დოკუმენტური სერიალები და ფილმები.

შედეგები და მსჯელობა

კვლევის ფარგლებში 1TVPLAY.GE-ზე განთავსებული დოკუმენტური ფილმებისა და სერიალების კვლევამ აჩვენა, რომ წარმოდგენილ მასალებში ტრადიციული, ექსპოზიციური დოკუმენტალისტიკა დომინირებს. თემატური თვალსაზრისით

უპირატესობა ისტორიულ-ბიოგრაფიულ მიმართულებას ენიჭება. რაც შეეხება ნარატიულ სტრუქტურას, მასალებში უპირატესი კომპეტენტური მთხრობლის საშუალებით გადმოცემული დისკურსია. თუმცა, ვხვდებით პერსონაჟზე დაფუძნებულ თხრობასაც. ვიზუალური ნაწილი უმეტესად საარქივო ფონდებს, შინაარსის შესაბამის ვიდეომასალასა და კადრში მოსაუბრე ნარატორს მოიცავს. ზოგიერთ ფილმში გამოყენებულია გრაფიკული ჩანართები, ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შექმნილი ტოპოგრაფიული გამოსახულებები და გაცოცხლებული ისტორიული გმირები ან მოვლენები.

ჰეურისტიკული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სტრიმინგ პლატფორმის ფუნქციონირების როგორც ძლიერი მხარეები, ისე გასაუმჯობესებელი მიმართულებები.

ვებგვერდის (1TVPLAY.GE) მინიმალისტური **ინტერფეისი** და რეპრეზენტაციის ერთგვაროვანი სტილი წარმოდგენილი კონტენტის აღქმას ამარტივებს და მომხმარებლისათვის ადვილად სამართავს ხდის.

სტრუქტურა - კონტენტის სამ მსხვილ კატეგორიად (ფილმები, სერიალები, გადაცემები) დაყოფა აუდიტორიას საწყის ორიენტირს აძლევს. სწორედ მოცემულ ჩამონათვალშია შესაძლებელი დოკუმენტალისტიკის, როგორც ჟანრის არჩევა. იქვეა გამოყოფილი კონკრეტული პერიოდის არჩევისათვის განკუთვნილი ველი.

თავად დოკუმენტური ფილმებისა და სერიალების კატეგორიაში გადასვლის შემთხვევაში, უმჯობესი იქნებოდა, მასალების დაყოფა, პირველ რიგში, ადგილობრივი და უცხოური წარმოების კონტენტის სეგმენტებად. არ ვხვდებით ასევე მასალების კატეგორიზაციას ჟანრების ან ფორმების გათვალისწინებით.

ნავიგაცია - მთავარ გვერდზე, სხვა შეთავაზებებთან ერთად, ჩანს „რჩეული დოკუმენტური“ კატეგორია. აღნიშნულ პანელში ქართული დოკუმენტალისტიკა არ არის წარმოდგენილი, რაც სავარაუდოდ, ადგილობრივი კონტენტის მიმართ მომხმარებელთა დაბალი ინტერესის შედეგია.

ნავიგაციისას ძლიერი მხარედ შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტული ფილმის გვერდიდან სხვა მასალების აღმოჩენის შესაძლებლობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული დოკუმენტური ფილმის/სერიალის არჩევის შემთხვევაში, უკან დაბრუნების ღილაკს, ზოგადად, ფილმების პანელზე გადაჰყავს მომხმარებელი და არა დოკუმენტური კონტენტის სივრცეში, რაც დამატებით მანიპულაციას მოითხოვს, სასურველ ველში დასაბრუნებლად.

ფუნქციონალი - ძებნის ღილაკი სახელწოდების არასრულად ჩაწერის შემთხვევაშიც პოულობს შესაბამის კონტენტს. თუმცა მას არ გააჩნია კორექტირებისა და კონკრეტული ვარიანტების შეთავაზების ფუნქცია.

კონტენტის მართვა - ვიდეოს ჩართვამდე ვებგვერდი მომხმარებელს აწვდის რამდენიმე მნიშვნელოვან, წინასწარ ინფორმაციას მასალის გამოშვების წლის, ხანგრძლივობისა და ასაკობრივი შეზღუდვის შესახებ. ამას გარდა, აქვეა მოკლე ანოტაცია და სერიალის შემთხვევაში ეპიზოდები.

ვიდეოფლეიერის კონტროლი - პაუზა, გადახვევა, ხმა, სრულ ეკრანზე გადასვლა და სხვა სტანდარტული ფუნქციები გამართული და მარტივად სამართავია.

ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან გაუმჯობესების საჭიროება განსაკუთრებით ჩანს კატეგორიზაცია/ფილტრაციის ნაწილში. მომხმარებლისათვის მასალის მიგნების პროცესს გაამარტივებდა თემატიკის, წარმოების ქვეყნის, ავტორის/რეჟისორისა და ფორმის მიხედვით კონტენტის კლასიფიკაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის ანგარიშში წარმოდგენილი პროექტებიდან სტრიმინგ პლატფორმაზე მხოლოდ ორია განთავსებული.

კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, ეთერში გავიდა შემდეგი ფილმები და სერიალები: „ბანკირის დღიურები“ - იასონ ლორთქიფანიძე, „ცნობილი აფხაზების უცნობი ისტორიები“ (4 სერია) - ნიკოლას ჩხოტუა, „ფრაგმენტები ლევან ლაგაზიძის დღიურიდან“, „თსუ დამფუძნებლები“ - იუსტინე აბულაძე, „თსუ დამფუძნებლები“ - ნიკო კეცხოველი, „ბროლი“, „ბაქანზე გაგონილი ამბები“, „აკადემიის დრო“, „დაკარგული წიგნები“ (20 სერია; ნოდარ გუგუშვილის წიგნის „მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში - 1966 წელი“ მიხედვით) (მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის ანგარიში, 2026, გვ. 5). ჩამოთვლილთაგან ვებგვერდზე მხოლოდ „ბანკირის დღიურები“ და „ცნობილი აფხაზების უცნობი ისტორიები“ იძებნება.

1TVPLAY-ზე განთავსებული ქართული დოკუმენტური სერიალები და ფილმები ისტორიულ მოვლენებს, გმირებს, ეროვნულ ლიტერატურას, კულტურას და სპორტს ეძღვნება. დომინანტი, ექსპოზიციური ფორმა (Expositoy mode) კონკრეტული მოვლენისა თუ ისტორიის თხრობასა და სრული სიზუსტით ასახვას მოიაზრებს. მოცემული სახის დოკუმენტალისტიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტექნიკა კომპეტენტური მთხრობლის ეკრანზე გამოჩენა და ე.წ „voice of god“-ის (კადრს მიღმა ხმა) გამოყენებაა.

კლასიკური, სექსპოზიციური დოკუმენტალისტიკის მაგალითია ოთხი სერიისგან (თითოეულის ქრონომეტრაჟი დაახლოებით 40 წთ.) შემდგარი პროექტი „ცნობილი აფხაზების უცნობი ისტორიები“. ფილმები ნატო მარშანიას წიგნს - „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ ეფუძნება.

ისტორიულ-ბიოგრაფიულ სერიებში ნარატიული ხაზი თანმიმდევრულად მიყვება მოვლენებს. ისტორიული გმირებისა (ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, იმდროინდელი მთავრობის სხვა წევრები) და მათი გადაწყვეტილებების ამსახველი გრაფიკული ილუსტრაციები მაყურებელს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აცნობს და საარქივო ფოტო-ვიდეომასალასთან ერთად, ნიკოლოზ ჩხოტუას პირად ისტორიასაც აცოცხლებს.

დოკუმენტური ციკლის პირველი ნაწილში მთხრობელი, დავით როსტომაშივლი ყვება აფხაზი ემიგრანტის, მალტის ორდენის კავალერის, იუსტიციის გენერლისა და მწერლის ნიკოლოზ ჩხოტუას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ქრონოლოგიური თხრობა სრულად „voice of god“-ის ტექნიკას ეფუძნება.

ანალიტიკური და კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება სიუჟეტი ინტერვიუების ჩართვით. მთხრობელთან ერთად, კომპეტენტური რესპონდენტების მოსაზრებები სხვადასხვა პერსპექტივის თანხვედრას უზრუნველყოფს და ინდივიდუალურ ბიოგრაფიას კიდევ უფრო ფართო ისტორიულ კონტექსტში წარმოაჩენს.

ექსპოზიციური დოკუმენტალისტიკის მაგალითია ასევე მოკლემეტრაჟიანი ისტორიულ-ბიოგრაფიული ფილმი „ბანკირის დღიურები“, რომელიც ეროვნული ბანკის პირველი მმართველის, იასონ ლორთქიფანიძეს შეეხება.

რეკონსტრუქციების, საარქივო მასალების, გრაფიკული ჩანართებისა და თემატური მუსიკალური გაფორმების საშუალებით, მაყურებლის წინაშე ცოცხლდება ეროვნული ბანკის დაარსების ეპოქალური მოვლენა და ერთ-ერთი მთავარი გმირს ისტორია.

გამოსახვის საშუალებების თვალსაზრისით, სავსებით განსხვავდება განხილული მაგალითებისგან პროექტი „ფოტოთი გაცოცხლებული თბილისი“. ოთხი ეპიზოდისგან შემდგარი დოკუმენტური ფილმების ციკლი დიმიტრი ერმაკოვისა და ალექსანდრე როინაშვილის ფოტომასალის საშუალებით XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის

დასაწყისის თბილისის ყოფას აცოცხლებს. ნარატიული სტრუქტურა არ არის ქრონოლოგიური. თითოეული ეპიზოდი კონკრეტული თემის ირგვლივ განვითარებულ ფაქტებსა და ისტორიებს აერთიანებს. ნარატივის ძირითადი მიზანი ინფორმირება და შემეცნებაა.

მსახიობი თემიკო ჭიჭინაძე კონკრეტულ ამბავს, შესაბამისი ლოკაციიდან - თბილისის კონკრეტული უბნიდან გვიყვება. აუდიოვიზუალური გადაწყვეტის მნიშვნელოვანი კომპონენტია საარქივო ფოტოების თანამედროვე ტექნოლოგიებით რეკონსტრუქცია. ზოგიერთ შემთხვევაში, ისტორიული ვიზუალი თანამედროვე თბილისის სივრცეებს ერწყმის, ხოლო ხელოვნური ინტელექტის საშუალებით სტატიკური გამოსახულებები მოძრავ ვიდეომასალად გარდაიქმნება.

ვიზუალური თხრობას ავსებს ფოტოაპარატთან მუშაობისა და კადრების გამჟღავნების პროცესის ამსახველი კონტენტი. მონტაჟის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიულ და თანამედროვე გამოსახულებებს შორის გადასვლები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდს ერთმანეთთან აკავშირებს და მაყურებლისათვის ადვილად აღსაქმელს ხდის.

ძველი თბილისის ყოველდღიურობა, ისტორიული უბნების ატმოსფერო; თბილისის კულტურა და ყოფა 30 წუთიან ფილმებში ცოცხლდება. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ნარატივი ისტორიულთან ერთად სოციალურ თემებსაც მოიცავს.

მთავარი გმირებისა და პერსონაჟის თხრობაზეა დაფუძნებული შემდეგი დოკუმენტური ფილმები: „მაუწყებლობის 100 წელი“, „ჩვენი ძალოსნები“, „ნანი“. ჩამოთვლილი მაგალითები ფორმის თვალსაზრისით ექსპოზიციურია. ერთგვაროვანია გამოსახვის საშუალებები და ნარატიული ხაზი. ისტორიულ-ბიოგრაფიული კონტენტის ვიზუალური ნაწილი საარქივო მასალებისა და კონკრეტული მოვლენების ამსახველი ვიდეოკადრებისგან შედგება.

მონაწილეობითი დოკუმენტალისტიკის მაგალითია ვასილ მაღლაფერიძის „რეპორტაჟი თუშეთიდან“. მოცემული მოდელი ავტორის უშუალო ჩართულობით მოგვითხრობს ისტორიებს ადგილობრივ მაცხოვრებლებზე, თუშეთის გეოგრაფიულ და ისტორიულ მნიშვნელობაზე. უშალო კონტაქტით რეჟისორი ცდილობს წარმოადგინოს სოციალური და ისტორიული მნიშვნელობის საკითხების კომპლექსური სახე.

ინფორმაციულთან ერთად, ფილმი შემეცნებითია. რესპონდენტების გამოცდილების გაზიარებით, გულწრფელი დიალოგებით, ლანდშაფტისა და ადგილობრივი კულტურის ამსახველი გარემოს ჩვენებით კონტენტი ეთნოგრაფიულ სურათს წარმოადგენს.

ვიზუალიზაციის ნაწილში აღსანიშნავია 3D ტოპოგრაფიული მოდელების გამოყენება, რაც მოიაზრებს კონკრეტულ ლოკაციებს შორის გადაადგილების გრაფიკულ გამოსახვას და მაყურებლისათვის გეოგრაფიული არეალის მარტივად ჩვენებას.

მხატვრულ დოკუმენტალისტიკას განეკუთვნება ექსპოზიციური ფორმის კიდევ ერთი ფილმი „ეგრისის დიდი ომი“. კონტენტის აუდიოვიზუალური გადაწყვეტის მთავარი სიახლე ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებაა. ისტორიული თემატიკის ორეპიზოდიანი ფილმი VI საუკუნის საქართველოსა და ეგრისის სამეფოს ისტორიულ მოვლენებს, რომისა და ირანის დაპირისპირებასა და მეფე გუბაზის მმართველობის პერიოდს ასახავს. მოცემული ნარატიული სტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტი, მთხრობელთან ერთად, AI-ს გამოყენებით გაცოცხლებული პერსონაჟებია.

ფილმის შინაარსი მხოლოდ ერთ ნარატორს არ ეფუძნება. პროექტის ავტორი ვასილ მაღლაფერიძე სხვადასხვა, შინაარსის შესაბამისი ლოკაციიდან უშალოდ მიმართავს

მაყურებელს. განსხვავებული ფუნქცია აქვს კადრს მიღმა ხმას, ე.წ. „Voice of God“-ს. ზურა ყიფშიძისა და დათო როსტიაშვილის დამაჯერებელი ტონი აუდიტორიას მოვლენათა ჯაჭვის ქრონოლოგიურად გააზრებასა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენაში ეხმარება.

განსაკუთრებით საინტერესოა ფილმის ხმოვანი სტრუქტურის შემდეგი, კერძოდ ისტორიული პერსონაჟების ნაწილი. ეპიზოდებში პროკოპი კესარიელი, გუბაზი, ფარტაზი და სხვა მნიშვნელოვანი ფიგურები AI-ვიზუალთან ერთად, საკუთარი ხმოვანი ხაზითაც წარდგებიან მაყურებლის წინაშე. ამრიგად, პასიური როლის გარდა, ისინი მთხრობლის ფუნქციასაც ითავსებენ, რაც ისტორიულ მოვლენას მეტად პერსონიფიცირებულს და დრამატულს ხდის.

პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ისტორიულ ნაშრომების მიხედვით შექმნილი სცენარი, ვიზუალურად თითქმის სრულად AI-ის საშუალებითაა გაცოცხლებული. კონტენტის მხატვრულ-დოკუმენტურ ხასიათს ფილმში სამი კომპონენტის ურთიერთქმედება ქმნის: ისტორიული წყაროები, როგორც ფაქტობრივი საფუძველი; ნარატიული ხაზი - ტექსტის ავტორისეული ინტერპრეტაცია და ხელოვნური ინტელექტით შექმნილი გამოსახულება, როგორც ამ ინტერპრეტაციის ვიზუალური ფორმა. ქალაქების, სამხედრო დაპირისპირებისა და ეპოქისთვის დამახასიათებელი გარემოს ეკრანული წარმოდგენა ხელს უწყობს კომპლექსური ისტორიული მოვლენის მარტივ გადააზრებასა და შემეცნების პროცესის გამარტივებას.

ვიზუალიზაციის მსგავსი, თანამედროვე ფორმები ცოდნას ემოციურ გამოცდილებად გარდაქმნის და მაყურებლის ხანგრძლივ მეხსიერებაში ლექავს.

დასკვნა

კვლევის თეორიულმა ნაწილმა ცხადყო, რომ ტექნოლოგიური ცვლილება ქმნის ახალ შესაძლებლობებს, თუმცა ეს შესაძლებლობები მხოლოდ გავრცელების არხის მოდერნიზაციით არ შემოიფარგლება. კინემატოგრაფიული სივრციდან სატელევიზიო ეთერში, ხოლო შემდგომ ციფრულ, მოთხოვნის შესაბამისად ხელმისაწვდომ მედიაგარემოში გადასვლამ გავლენა იქონია დოკუმენტური კონტენტის ფორმაზე, ნარატიული ორგანიზებაზე, ვიზუალურ ენაზე, გავრცელების პრინციპებსა და აუდიტორიასთან კომუნიკაციის მოდელზე.

დოკუმენტური სერიალებისა და ფილმების ექსპოზოციური ფორმა ადგილობრივ მედიაგარემოში ინფორმაციის სანდოდ და თანმიმდევრულად გადაცემის ეფექტურ ინსტრუმენტად რჩება. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტორიულ-ბიოგრაფიულ თემატიკას, რომლის ნარატიული ხაზი უმეტესად ქრონოლოგიურ პრინციპს, კომპეტენტურ მთხრობელს, კადრს მიღმა ხმას, საარქივო მასალასა და ინტერვიუებს ეფუძნება.

კონკრეტულ მაგალითებში თანამედროვე აუდიოვიზუალური ეფექტების ინტეგრირების ტენდენცია ვლინდება. საარქივო მასალების ციფრული დამუშავება, გრაფიკული ჩანართები, ტოპოგრაფიული 3D მოდელები, რეკონსტრუქციები და ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შექმნილი გამოსახულებები დოკუმენტური თხრობის გამომსახველობით ღირებულებას ზრდის.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ტენდენცია ფილმებში „ფოტოთი გაცოცხლებული თბილისი“ და „ეგრისის დიდი ომი“. პირველ შემთხვევაში თანამედროვე ტექნოლოგიები ისტორიულ ფოტომასალას ახალ ვიზუალურ სიცოცხლეს სძენს. მეორე შემთხვევაში კი ხელოვნური ინტელექტით გენერირებული გამოსახულებები ისტორიული წყაროების საფუძველზე შექმნილ ნარატივს ვიზუალურად მრავალფეროვანს და მიმზიდველს ხდის.

ქართულ დოკუმენტალისტიკის ნარატიული და გამომსახველობითი ტრანსფორმაცია შესაძლოა, განისაზღვროს, როგორც მისი ტრადიციული ფორმების ტექნოლოგიურად ფრაგმენტული გაფართოება და არა როგორც სრული გარდაქმნა.

რაც შეეხება ჰეურისტიკულ ანალიზს. კვლევამ აჩვენა, რომ 1TVPLAY-ის პლატფორმა დოკუმენტური კონტენტის ციფრულად გავრცელებისთვის ფუნქციურად მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. მინიმალისტური ინტერფეისი, ძირითადი კატეგორიები, ვიდეოფლეიერის სტანდარტული ინსტრუმენტები, მასალის შესახებ წინასწარი ინფორმაციის მიწოდება და კონკრეტული ფილმიდან სხვა კონტენტის აღმოჩენის შესაძლებლობა მომხმარებელს ვებგვერდის გამოყენების პროცესს უმარტივებს.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს დეტალები, რომელთა დახვეწაც ქართული დოკუმენტალისტიკის ხელმისაწვდომობას კიდევ უფრო გააუმჯობესებდა. მაგალითად, კატეგორიზაციისა და ფილტრაციის კომპონენტები. დოკუმენტური ფილმებისა და სერიალების ერთიან სივრცეში წარმოდგენასთან ერთად, მნიშვნელოვანია კონტენტის სისტემატიზაცია თემატიკის, წარმოების ქვეყნის ან ფორმის მიხედვითაც. აღნიშნული მასალის რეპრეზენტაციას კიდევ უფრო მოქნილს გახდიდა და სასურველი ვიდეოს ძიების პროცესსაც გაამარტივებდა.

მნიშვნელოვანია ასევე ადგილობრივი წარმოების კონტენტის ციფრულ პლატფორმაზე სრული ინტეგრაცია. განსაკუთრებით სერიალების შემთხვევაში, რომელთა ახალი ეპიზოდები კვლევის პროცესში ჯერ კიდევ არ იყო ხელმისაწვდომი საიტზე. მაუწყებლის ბაზაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმების/სერიალების სტრიმინგ პლატფორმაზე ოპერატიულად დაარქივება და გავრცელება მედიაორგანიზაციისათვის სტრატეგიულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა: დეტალური კატეგორიზაციის დანერგვა, ფილტრაციის სისტემის გაუმჯობესება, დოკუმენტური მემკვიდრეობის სისტემური დიგიტალიზაცია და პლატფორმაზე სრული რეპრეზენტაცია, ქართული დოკუმენტალისტიკის ხილვადობის გაზრდა მთავარ გვერდზე, თანამედროვე აუდიოვიზუალური ტექნოლოგიების ფუნქციური გამოყენების კიდევ უფრო გაფართოება.

ამრიგად, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდა დოკუმენტალისტიკას საშუალებას აძლევს, შეინარჩუნოს და კიდევ უფრო ეფექტურად შეასრულოს თავისი მთავარი ფუნქცია - თანამედროვე ციფრული მედიასივრცისთვის დამახასიათებელი მოკლე, ფრაგმენტული საინფორმაციო შეტყობინებებისგან განსხვავებით, აუდიტორიას კონკრეტული მოვლენის შესახებ სიღრმისეული ცოდნა და საკითხის გააზრების შესაძლებლობა შესთავაზოს.

მოცემული ამოცანის სისრულეში მოყვანას, თავის მხრივ, ხელს უნდა უწყობდეს ისეთი სტრიმინგ პლატფორმების განვითარება, როგორიცაა 1TVPLAY.GE. ციფრულ სივრცეში დოკუმენტური კონტენტის ტრანსფორმაცია, სისტემური ორგანიზება და ხელმისაწვდომობის ზრდა ახალ აუდიტორიასთან წვდომას უზრუნველყოფს.

თანამედროვე მაყურებელთან, რომელსაც სწრაფად ცვალებად საინფორმაციო გარემოში, დოკუმენტალისტიკა ამბის კონტექსტუალურად გააზრების საშუალებას უბრუნებს და ინფორმაციის მიღებას შემეცნების პროცესად აქცევს.

ბიბლიოგრაფია

Arda, Ö. (2020). An Assessment of the New Media Documentary. *OPUS International Journal of Society Researches, 15*(24), 2937-2956.

Binns, D. (2018). The Netflix documentary house style: Streaming TV and slow media. *Fusion Journal*, 60-71.

Chapman, J. (2009). *Issues in Contemporary Documentary.* Polity.

Katz, E., Blumler, J. G., & Gurevitch, M. (1973). *Uses and Gratifications Approach.*

Kim, J. (2022). Documentary's expanded fields: new media and the twenty-first-century documentary. *New Review of Film and Television Studies*, 595-598.

Marcus, D., & Kara, S. (2015). *Contemporary Documentary.* Routledge.

McLuhan, M. (1964). *Understanding Media.* Canada: McGraw-Hill.

Nielsen, J. (1993). *Usability Engineering.* Morgan Kaufmann Publishers.

Rosengren, K. E. (1974). Uses and Gratifications: A Paradigme Autlined. J. G. Katz-ში, *The Uses of mass communications : current perspectives on gratifications research* (გვ. 269-287). USA: Sage Publications.

მაუწყებელი, ს. ს. (2026, 09 01). *„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2022-2025 წლების პროგრამული პრიორიტეტები.* Retrieved from 1tv.ge: https://shortlink.win/1DlW7

მაუწყებელი, ს. ს. (2026 წლის 20 08). *1tv.ge*. მოპოვებული https://1tv.ge/strategy/-დან

მაუწყებელი, ს. ს. (2026, 09 01). *VOD (Video on demand) პლატფორმის შესახებ კვლევა.* Retrieved from 1tv.ge: https://shortlink.win/1DlVX

მაუწყებელი, ს. ს. (2026, 09 01). *საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის ანგარიში.* Retrieved from 1tv.ge: https://shortlink.win/1DlW3